საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო
კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი 20 05 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **ვ. ხატიაშვილი,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **გ. სებისკვერაძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი **ს. ჯანელიძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **თ. კრიჭინაშვილი,** სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. გლავაცკი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მიერ **ქ.თბილისში, გულუას ქ.N10–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის გარე განათების სრული პროექტის** კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ანტონ გლავაცკის ინფორმაცია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში შემოვიდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოდან მოთხოვნა პატაკი №920005 საიდანაც ირკვევა, რომ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შესყიდული უნდა იქნას ქ.თბილისში, გულუას ქ.N10–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის გარე განათების სრული პროექტის. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა საკონკურსო დოკუმენტაცია და წარმოდგენილი იქნა საკონკურსო კომისიის სხდომაზე დასამტკიცებლად.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მისაღებია და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის 1) პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 1) პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია ქ.თბილისში, გულუას ქ.N10–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის გარე განათების სრული პროექტის შესყიდვა მოხდეს კონკურსის საშუალებით .

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნას საკონკურსო დოკუმენტაცია.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის 2) პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-5 მუხლის 1) პუნქტის შესაბამისად დოკუმენტაციის შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ვ. ხატიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

გ. სებისკვერაძე	ს. ჯანელიძე	თ. კრიჭინაშვილი	ა. გლავაცკი